

ირიბი ობიექტის მარკირება მეგრულში

მარიამ ლურჯკაია

სამაგისტრო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ლურჯაია

26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემაა *ირიბი ობიექტის მარკირება მეგრულში*. ნაშრომში წარმოდგენილი ზმნური პარადიგმების ანალიზი ხელს უწყობს ირიბობიექტური პირის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ერთიანად აღქმასა და საკითხის უკეთ გააზრებას.

კვლევის მიზანი იყო გამოეკვლინა ირიბი ობიექტის მორფოლოგიური და სინტაქსური მარკირება მეგრულში. მორფოლოგიურ მარკირებაში ვგულისხმობთ ირიბობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის საკითხს, სინტაქსური კი ითვალისწინებს ირიბი ობიექტის პოზიციის დადგენას წინადადებაში.

კვლევაში გამოყენებულია ინტერპრეტაციის მეთოდი. ნაშრომში განხილულია შესაბამისი ლიტერატურა და წარმოდგენილია ზმნური პარადიგმების ანალიზი.

კვლევის შედეგად დადგინდა ობიექტური პირის ნიშნების დისტრიბუცია მწკრივების მიხედვით. გაირკვა, რომ მეორე ობიექტური პირის ალომორფი (-რ) პირველი თურმეობითის მწკრივიდან დაერთვის ზმნებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე ობიექტური პირის ალომორფის (-რ) გამოვლენის ტენდენცია III სერიის მწკრივებიდან ვლინდება. კვლევამ ცხადჰყო, რომ წინადადებაში ირიბი ობიექტის პოზიცია ფიქსირებული არ არის და მისი ცვლილება შინაარსს არ ცვლის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: **ობიექტური პირი, ირიბი ობიექტი, მარკირება, ალომორფი, პოზიცია.**

Abstract

The subject of this paper is the *marking of indirect object in Megrelian Language*. Analysis of the verb paradigms presented in this work promotes perception of the views expressed on indirect object and the better understanding of the issue.

The goal of the study was to reveal the morphological and syntactic marking of the indirect object in Megrelian Language. In morphological marking we mean the issue of expressing the number of indirect object, while syntactic marking foresees the determination of indirect object position in the sentence.

The method of interpretation is used in the study. The paper reviews the relevant literature and presents analysis of verb paradigms.

As a result of the study, distribution of objective marks was revealed according to the screeves. It was found out that the second objective person's allomorph (- r) is attached to the verbs from the first Turmeobit (Present Perfect) screeve. We can say that the tendency to detect the second objective allomorph (-r) is revealed from the III series screeves. The study showed that the position of the indirect object in the sentence is not fixed and its alteration does not change the content.

Key search words: **objective person, indirect object, marking, allomorph, position.**